მარიამ ჯაში: დევიდ ლინჩის ვიზიტი საქართველოში 18-21 ნოემბერს იგეგმება

ახალი ამბები

14 სექტემბერი, 2017 18:31

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის, მარიამ ჯაშის განცხადებით, ამერიკელი რეჟისორი დევიდ ლინჩის ვიზიტი საქართველოში 18-21 ნოემბერს იგეგმება.

პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, კომიტეტის თავმჯდომარე დღეს კავკასიაში დევიდ ლინჩის ფონდის (DLFC) ხელმძღვანელს გიგა აგლაძეს და მის გუნდს შეხვდა.

„ეს არის საქართველოსთვის უდიდესი შესაძლებლობა, რომ ვუმასპინძლოთ მსოფლიოში ცნობილ რეჟისორს და ვისაუბროთ მის ფონდთან სამომავლო თანამშრომლობის ინიციატივებზე. მნიშვნელოვანია, რომ ფონდის პროგრამების

ფარგლებში დაგეგმილია საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში საინტერესო საგანმანათლებლო და სოციალური პროექტის განხორციელება. დევიდ ლინჩის ფონდის კავკასიის ოფისის დაფუძნება თბილისში, რომლის ხელმძღვანელი გახლავ ქართველი რეჟისორი და მუსიკოსი გიგა აგლაძე, საქართველოს როგორც კინოინდუსტრიის განვითარების ასევე, საგანმანათლებლო სფეროში ახალი პროექტების განხორციელების ისტორიულ შესაძლებლობებს აძლევს. მოხარული ვ რომ მე და ჩემს კოლეგებს მოგვეცემა საშუალება შევხვდეთ და ვუმასპინძლოთ ლეგენდარულ კინორეჟისორს და მასთან ერთად განვიხილოთ საქართველოს განათლების, კულტურისა და სოციალური მიმართულებებით უაღრესად მნიშვნელოვანი სამომავლო ინიციატივები“, - განაცხადა მარიამ ჯაშმა.

ჯაშის თქმით, პირველი ინიციატივა ეხება დევის ლინჩის საერთაშორისო კინემატოგრაფიული უნივერსიტეტის გახსნას საქართველოში, ასევე იგეგმება საერთაშორისო კინოფესტივალის პროექტთან დაკავშირებით დისკუსია, რომლის დეტალებსაც კომიტეტი აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის უწყებებთან ერთად განიხილავს.

MARIAM JASHI: DAVID LYNCH'S VISIT IN GEORGIA IS PLANNED ON NOVEMBER 18-21

According to the Chairperson of the Committee of Education, Science and Culture Mariam Jashi, the American film director's David Lynch's visit in Georgia is planned for November 18-21.

According to the Press-Service of the Parliament, the Chairperson of the Committee met with the President of David Lynch Foundation in Caucasus (DLFC) - Giga Agladze and his team.

"This is the greatest opportunity for Georgia to host such a world famous film director and discuss with him the future cooperation initiatives with his Foundation. It's also important that implementation of the interesting educational and social projects is planned in Georgia, Azeraijan and Armenia in scope of the Foundation programs. Foundation of David Lynch Foundation Caucasus office in Tbilisi which is headed by a Georgian film director and a musician Giga Agladze, is a historical opportunity for Georgia in terms of development in cinema and education. I am happy that I and my colleagues will have such an opportunity to meet and host a legendary film director and discuss with him quite important initiatives in the educational, social and cultural spheres", - expressed Mariam Jashi.

According to Jashi the first initiative is related to the establishment of David Lynch international film university in Georgia, among others the project of International film festival will also be discussed. Its details will be considered by the Committee together with the subsequent bodies of the Executive Authority.